საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიზო უმბილავას* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: [illegible]

თარიღი: 29.04.2024 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„29“ აპრილი, 2024 წ. ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **გიზო უბილავას**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის ღების მიზნით დარეგისტრირებული იქნა **გიზო უბილავა.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის-**გიზო უბილავას** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით,**გიზო უბილავა** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი), შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კანდიდატი - **გიზო უბილავა** გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, შეუვალობით, პრინციპულობით და მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა დავალიანების გადახდა და სხვ.) იგი ასრულებს ჯეროვნად. რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები გიზო უბილავას პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. აგრეთვე, მის მიმართ დიციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად ასევე არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიკერძოებლობისადმი.

დასკვნა: ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი-**გიზო უბილავა სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

კომპეტენტურობის კრიტერიუმის შემადგენელი მახასიათებლის - სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ **გიზო უბილავა** სისხლის სამართლის მიმართულებით სრულყოფილად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აქვს შესაბამისი ცოდნა სამართლის სხვა დარგების მიმართულებითაც. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს როგორც სისხლის სამართლის სფეროში მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, კონსტიტუციის ნორმებს, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. მიმაჩნია, რომ კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIV ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა - 39-ე ადგილი.

დასკვნა: კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიზო უბილავა** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

გიზო უბილავას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის

თანამდებობაზე მუშაობის 4 წლის გამოცდილება. ამასთან, კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის დამაჯერებლად და კვალიფიციურად გადმოცემის უნარი. შეუძლია სამართლის სხვადასხვა სფეროში აქტუალური საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა. პროფესიით მუშაობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეძენილი აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება და მოსამართლისთვის აუცილებელი ქცევის უნარები. მას შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიზო უბილავა** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.3. წერის უნარი</u>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის და ასევე **გიზო უბილავას** მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ნათლად და ადვილად იკითხება დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, ნაკლებად ხმარობს რთულ წინადადებებს, ზედმიწევნით სწორად და საგნობრივად იყენებს სამართლებრივ ნორმებს და სამართლებრივი ნორმების ანალიზს, რაც ამ დოკუმენტების მკითხველს საშუალებას აძლევს სწორად და მარტივად აღითქვას მათში განხილული სამართლებრივი საკითხები და ხელს უწყობს მისი მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემას და გაგებას. შესწავლილ დოკუმენტებში რაიმე მნიშვნელოვანი ან თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომა, რაც გავლენას იქონიებდა დოკუმენტის შინაარსზე, ან სწორად გაგებაზე, გამოვლენილი არ ყოფილა.

<u>დასკვნა:</u> წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიზო უბილავა** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

გიზო უბილავას აქვს კარგი, გამართული მეტყველების უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასებისას კანდიდატს მიენიჭა შესაბამისი ქულა მისი საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილების შედეგად. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე კვალიფიციურად ასაბუთებდა მსჯელობისას საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მნიშვნელოვანია, რომ **გიზო უბილავას** გააჩნია სხვისი მოსაზრების მშვიდად და მოთმინებით მოსმენის უნარი. გასაუბრებისას იგი მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტეს წილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიზო უბილავა** უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)

გიზო უბილავა გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2021 წლის თებერვლიდან - 2024 წლის თებერვლამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 100%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს 96,2%-ს.

სასამართლო დარბაზში საქმის განხილვისას არის მობილიზებული, მშვიდი, ნათლად და გასაგებად გადმოსცემს საკუთარ აზრს, აძლევს მხარეებს პოზიციების წარმოდგენის თანაბარ შესაძლებლობებს, არის შეუვალი და ნეიტრალური, სტრსულ სიტუაციებში ინარჩუნებს სიმშვიდეს.

დასკვნა: პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, **რომ გიზო უბილავა** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას

გიზო უბილავას სხვადასხვა დროს ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდები და გავლილი აქვს სასწავლო კურსები, კერძოდ:

- მოსამართლის თანაშემწე - სამოსამართლო სწავლების ცენტრი 2000 წელი
- პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა 2002 წელი
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში.
- მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში 2018 წელი
- სასწავო კურსი - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი 2019 წელი
- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა 2018 წელი
- კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2018 წელს)
  ტესტირება: 83 ქულა
  წერითი გამოცდა 15 ქულა

- იუსტიციის უმაღლესი სკოლა
  - გიზო უბილავა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის კურსდამთავრებულია.
  - ჯგუფში დაიკავა მეექვსე ადგილი; საერთო საკვალიფიკაციო სიაში -39-ე

დასკვნა: აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიზო უბილავა** უნდა შეფასდეს 4 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

2.7. პროფესიული აქტივობა

მოცემული კრიტერიუმებით **გიზო უბილავას** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, კერძოდ:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებსა და არასწლოვანთა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში - საქართველოს პროკურატურა 2016 წელი
- 26-27 ივნისი, 2021 წ. - კახეთი (ლოპოტას ტბა), იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ევროპის საბჭოს (CoE) მიერ გამართული სემინარი - „ადამიანის უფლებათა სასამართლოს უახლესი პრეცედენტული სამართალი";
- 28 მაისი- 5 ივნისი, 2022 წ. - ქ. ტამპა (აშშ), ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მიერ სისხლის სამართლის სისტემაში შეჯიბრებითობის პრინციპის საუკეთესო პრაქტიკის განხილვის მიზნით გამართული სასწავლო ვიზიტი;
- 25 ივნისი, 2022 წ. - თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის სემინარი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები - სისხლის სამართლის მიმართულება";
- 16-17 ივლისი, 2022 წ. - ბორჯომი, ევროპის საბჭოს ოფისისა (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ გამართული საპილოტე სემინარი - „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა";
- 1-2 ივლისი, 2023 წ. - კახეთი (სასტუმრო „ლოპოტას ტბა"), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ევროპის საბჭოს ოფისისა (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით გამართული ტრენინგი - „სქესობრივი დანაშაული";
- 15-17 მარტი, 2023 წ. - წინანდალი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხთა განხილვასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა;
- 22-24 ოქტომბერი, 2023 წ. - ლიკანი, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „სამოსამართლო ეთიკა";
- 6-8 დეკემბერი, 2023 წ. - წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიზო უბილავა** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **გიზო უბილავა** სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>91</u>** (ოთხმოცდა თერთმეტი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი